№ 189. 7 სეკტემბერი, კვირა. 1866—1880 7 სეკტემბერი, კვირა. № 189.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

გრენადერების, შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ჯორჯაძის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

„დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ღვთის-მშობლის დაბადების დღესასწავლის გამო სამშაბათს გაზეთი არ გამოვა.

---

1 ენკენისთვიდამ წლის დამლევამდის

**დროება**

ღირს სამი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

---

## ტელეგრამები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 5 სეკტემბერი. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილი რესკრიპტი ლორის-მელიქოვის სახელობაზედ. ხელმწიფე მადლობელია გრაფის კეთილ-ნაყოფიერის და დამამშვიდებელის მოქმედებისა და ანიჭებს მას ანდრია-პირველ-წოდებულის ორდენს.

კრონშტადტი, 4 სეკტემბერი. ლესოვსკი ნოვგოროდსკში მივიდა და კრეისერს „აფრიკაზე“ ამართა ესკადრის უმთავრესის უფროსის დროშა.

ზღვის დემონსტრაცია დულცინიოში რვას ან ცხრას ენკენისთვეს დაიწყება.

ახალი საიმპერატორო იახტა „ლივადია“ მხოლოდ 7 საზომალდო მანძილს გადის საათში.

რაგუზა, სეკტემბერს, ალბანიელები მხნე წინააღმდეგობას აწევიან დულცინიოს დათმობის დროს. ისინი დიდრონ ჯგუფ-ჯგუფად დაწყობებით მიდიან დულცინიოსკენ, და გადასწყვიტეს რიზა-ფაშის მოკვლა, რომელიც კამერჯალშია 1500 ჯარის კაცითაა დაბანაკებული.

პეტერბურღი, დღეს აქ მოვიდა ლორის-მელიქოვი. „მმართებლობის მოამბე“ გვაცნობებს, რომ დაინიშნა რვა გუბერნიის რევიზია სენატორთამიერ.

რომი, 3 სეკტემბერს. ფინანსთა მინისტრმა წარუდგინა შემოსავალ-გასავლის ანგარიში დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს. ჩვეულებრივი შემოსავალი 1210 მილლიონი ლირია, გასავალი 1110, უჩვეულებრივო გასავალი 65 მილლიონი ლირია.

---

## მეფურნეების საქმე

ტფილისი, 6 ენკენისთვეს.

ამ თვის 3-ს თფილისის ყველა მეფურნეებმა შეჰკრეს პირობა და ერთბაშათ დაკეტეს თავის ფურნეები. თუ რომ შოთის-პურის მცხობი რაჭველები და მებულკეები არა გვყოლოდა, დამშეული ხალხი, უეჭველია, ერთს რასმე უწესოებას მოახდენდა ჩვენი ქალაქის ქუჩებში, ფურნეებს დაამტვრევდნენ, მეფურნეებს სცემდნენ ან სხვა რამ ამისთანა უწესოებას ჩაიდენდნენ...

მაგრამ ერთის მხრით რაჭველ მეპურეებისა და მებულკეების წყალობით, მეორეს მხრით პოლიციისა და ქალაქის გამგეობის ენერგიულ მოქმედების წყალობით, რადგან იმ საღამოსვე ძალა-უნებურად გაალებინეს ფურნეები, ეს უწესოება ავიცდინეთ თავიდამ და დღეს უდავო-დარაბოთ ვყიდულობთ და ვჭამთ პურს.

ამ გვარი შემთხვევები ხშირად მომხდარა ჩვენს ქალაქში; არ მოეწონებათ მეფურნეებს ქალაქის გამგეობისაგან გამოცემული ტაქსა, ბევრს არ ილაპარაკებენ, აიღებენ და ჰკეტენ თავიანთ დუქნებს. ფეხებზე ჰკიდიათ იმათ, თუ მთელი ქალაქი დაიმშევა. „ზარალი გვაქვსო!“ გაიძახიან. მაგრამ დღემდინ ყველა მეფურნეებს რომ ერთბაშათ დაეკეტნოსთ ფურნეები და ერთბაშათ მოესპოთ ხალხისათვის პური — არასოდეს არ ყოფილა.

და რადგან ერთხელ გაიგონეს ეს გზა, შესაძლებელია, რომ შემდეგშიაც მოახდინონ ამ გვარი პირის-შეკვრა, შესაძლებელია შემდეგშიაც ერთბაშათ მოგვისპონ ეს უსაჭიროესი საზრდო, და ამის გამო ერთხელ-და-სამუდამოთ, ვისიც ჯერ არს, მიიღოს რაიმე საშუალება, რომ, რამდენიმე კაცის წყალობით, ხალხი ამისთანა მდგომარეობაში არ ჩავარდეს.

ზოგიერთები ამბობენ, რომ მეფურნეები გასამტყუნარი არ არიანო: იმათ დღეში ბევრი-ბევრი სამი-ოთხი მანეთის მოგება აქვსთო, და ეს არ ჰყოფნისთ დუქნის მოჯამაგირეების და სხვ. ხარჯათაო: ტაქსას უნდა მოემატოსო. სხვები ამტკიცებენ, რომ თითოეულ მეფურნეს დღეში უკანასკნელი 12—13 მანეთი აქვს მოგებაო, უფრო მომეტებული უნდათო და მხოლოდ სიხარბით მოსდითო, რომ ტაქსის მომატებას თხოულობენო.

ჩვენ არ გვინდა გამოვიკვლიოთ — რომელია მართალი და რომელი მტყუანი. ჩვენი აზრი ის არის, რომ ორი აქლემის წაკიდებით შუაში კოზაკი არ გაიჭყლიტოს; მეფურნეები და ქალაქის გამგეობა ვერ მოთავსდნენ ერთმანერთში, — ხალხი არ გაიჭყლიტოს...

გვიკვირს მხოლოდ ის გარემოება, რომ ამისთანა უბრალო საქმეში ამდენი აყალ-მაყალი რად უნდა ხდებოდეს? რატომ ისე ვერ უნდა მოახერხოს ქალაქის გამგეობამ მეფურნეებთან საქმის გაწყობა, რომ ისინი საკმაო სარგებლობას ხედავდნენ თავის ხელობაში და ეს სარგებლობა იყოს იმის ძალის-დამტანებელი, რომ აცხონ პური და ხალხზე ჰყიდონ? ფუთი პური როგორ იყიდება, ხომ იციან; იციან აგრეთვე თითო ფუთზე რამდენი ემატება გამოცხობის დროს; ადვილად შეიძლება თითოეულ მეფურნის ხარჯის გამოანგარიშება. უყელა ეს მიიღონ მხედველობაში, გამოიანგარიშონ ერთი-მეორეზე რამდენად დაუჯდება მეფურნეს გირვანქა პური, სარგებელიც ზედ მიუმატონ და ამ გვარად დანიშნონ ტაქსია.

---

დროების ფელეტონი, 7 ენკენისთვე

## ცხელ-ცხელი ამბები

### ყველაფერი უკუღმა!

ნურავინ დაიჩემებს გულგრილობას მაშინ, როცა მის წინ სდგას ლამაზი ქალი, რომლის თვალებშიაც ღრმა ჭკუა იხატება და სახეზე მაღალი გრძნობა!... მაგრამ იმასაც კი ნურავინ გეტყვის რომ ეს სანახაობა, ვითომც, მოწყენილ-მოყირჭებული ჰქონდეს ჩვენში!...

ჩარხი უკუღმა მობრუნდა: რაც გვინახავს, ველარ ვხედავთ და რასაც ვხედავთ, მისი ნახვა გვეზიზღება!...

აბა სად-ღა არიან ის დედები, ის დები და ის ქალები, რომელნიც, თან თავზედ ბაირაღებსავით ლეჩაქ-ფრიალით, პირველ რაზმში იდგნენ და ჩვენს მწარეს, მაგრამ თავისუფალ ცხოვრებაში პირველ ბიჯს ადგამდნენ? მათი გამომეტყველი სახე და მათი ფიქრ-მოსილი თვალები ჯაბანთაც კი ალომგულოვანებდნენ!!...

ვინ არ ჩასთვლიდა მაში მათს სიყვარულს გამო თავ-გაწირვას — უკვდავებათ?!

დღეს კი, როდესაც დროთა ვითარებამ დაგვამუხლისთავა, რაღას უნდა ჰხატავდეს ჩვენი ქალების სახე, თუ არ წვრილმან გრძნობებს? და რაღა უნდა იხედებოდეს მათს თვალებში, თუ არ ცალ-ფეხი ჭკუა? და ამ გვარად ალქურვილებმა ვინ უნდა გააკეთილ-შობილონ? ვის უნდა აუძგერონ გული? ვინ აალელვონ? და ვინ იქნება, რომ მათ სახელობაზედ სიკვდილი კი არა, ან სიცოცხლე ინდომოს?... მათი მშვენიერება ფუჭია!... მათი ვინაობა — არაფერი.

ერთი ქალისას ამბობდენ,
მშვენიერება არიო!...
ნეტავ მას, ვინც კი გახდება
იმისი მეგობარიო!...

—

ამ დროში საქართველოში
არავინა ჰყავს ტოლიო,
მაგრამ ვინ ღირსა, რომ ჰყავდეს
მისებრ ლამაზი ცოლიო?...

—

ტაძარი არის ტრფობისა
მისი უმანკო გულიო:
ბევრი ჭაბუკი გვინახავს
მის გამო გალახულიო!

—

ვითა ბულბული კოკობ ვარდს,
დასტრფიან ყმაწვილებიო.
ეხეთქებიან ერთმანეთს
უსაქმო ცუღლუტებიო!

—

მაგრამ ამ ლამაზ ქმნილებას
სხვა მხრით უჭირავს თვალიო...
მოდით და ნახეთ საქმე
ჩვენი ქართველი ქალიო!

—

წაველ და ვნახე ლამაზი:
მართლა რომ მოსაწონია!
მაგრამ შემცდარი ბრძანდება,
ვისაც ქართველი ჰგონია:

—

სახელათ ერქვა მაშინკა.
ვსთქვი: თუ რა არის მოდა-თქო?
ძველი დრო რომ ყოფილიყო,
მარიამ ერქმეოდა-თქო!

—

თავ-მოხდილს, საკუთარ თმებში
სხვებისაც ჰქონდა ჩართული!
სხვა ენით ამიქლურტულდა,
ეზარებოდა ქართული!

—

ამბობდა: „როგორ ვიკადრებ
„ქართულად ჩაცმა-ხურვასო!“
ნახევრათ იყო ტიტველი..
თითქო აპირობს ცურვასო!

—

ჰაჭკაჭივითა მეტყველი,
დახტოდა როგორც კალია
ის ტუტუცების დამწველი
და მათი გული-კალია.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ყოველ გვარ ვაჭრობაში, რასაკვირველია, პურის ვაჭრობაშიაც მოინახება ისეთი ხალხნი, რომელნიც ცოტა მომატებას არ დასჯერდებიან, ბევრს მოინდომებენ. ქალაქის ზამგეობას ყოველთვის შეუძლიან ამისთანა ხალხს ხელი აალებინოს ვაჭრობაზე და იმისთანაებს მიანდოს ეს საქმე, რომელნიც უეცრად გამდიდრებას არ მოიწადინებენ.

არა-სოდეს არ ვყოფილვართ და არც ვიქნებით ჩვენ ძალ-დატანების მომხრენი. მაგრამ, თუ იმისთანა შემთხვევა მოხდება, როგორც ამ 3 ენკენისთვეს მოხდა, თუ არავითარი პირობა, სიტყვა და კანონი არ გაავა მეფურნეებთან, თუ რამდენიმე კაცი, ჯიბრისა და სიხარბის, ანგარების გამო, მთელი ხალხის დამშევას მოინდომებს, მაშინ ძალ-დატანებას ღმერთიც და კაციც აპატიებს მთავრობასა და ქალაქის გამგეობას.

მაგრამ ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ადვილად შესაძლებელია, საქე ისე მოიხარხოს, რომ არც ხალხი ჩავარდეს უსაზრდოოთ და არც ამგვარი ძალ-დატანება შეიქნეს აუცილებელად საჭიროდ, ვამბობთ. რომ თუ ქალაქის ზამგეობა მოინდომებს, ცოტაოდენ ტვინს გაანძრევს, ამ საქმის გარიგებისათვის არავითარი დაბრკოლება წინ არ აღუდგება,

## ახალი ამბები

—

ჩვენი სათეატრო რეზონი, როგორც გავიგეთ დაიწყება 21 ამ თვეს, როდესაც საზაფხულოდ დასვენების შემდეგ პირველად ითამაშებს ჩვენი ნორჩი ტრუპპა.

***

„ტფილისის ვანცხადებების“ სიტყვით ტფილისში გავრცელებულა ხმა, ვითომც ოსმალეთის, სპარსეთის და ინგლისის ადგილობრივი დესპანები „საერთო ნოტის“ (!) მირთმევას აპირებენ ჩვენი ქალაქის რჩევაში, იმის გამო, რომ სპარსეთის და ოსმალეთის ქვეშევრდომნი მეფურნეები დატუსაღებულნი იყვნენ პურის ტაქციისამებრ გაუყიდველობისათვისო.

***

რუსული გაზეთები გვაცნობებენ, რომ ამ მოკლე ხანში მოსკოვში გამოიცემა სომხურს ენაზე სოფო მესრიანცის რედაქტორობით სურათებიანი გაზეთი სომხეთის ჯანდელი, რომელიც წინედ კრებულად გამოდიოდა ამავე მანდილოსნის ქმრის რედაქტორობით.

***

„ამ დღეებში გამოვიდა არსენას ლექსი, ბ. ივანე ხელაძისაგან გამოცემული. ეს გამოცემა რამდენადაც გვახსოვს მეცხრეა; წიგნი ღირს ერთი შაური.

***

ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ ქართული ისტორიის და ლიტერატურის იქაურნი მოყვარულნი დღეს, კვირას, აპირებენ მიცვალებულის მ. ი. ბროსსეს პანაშვიდის გადახდას იქაურს კათოლიკ თა ეკკლესიაში.

## წერილი რედაქტორთან

### 1

მოწყალეო ხელმწიფევ!

იმ შენიშვნაში, რომელიც იყო დაბეჭდილი თქვენს პატივცემულ გაზეთის 179 №-ში, ჩემი პიესის „მეხის ამცდენის“ შესახებ, იყო სხვათა შორის წარმოთქმული, რომ უეჭველად მე არ დავკმაყოფილდები რუსულ ენაზედ წერით და დავიწყებას არ მივცემ ჩემს სამშობლო ქართულს ენას.

მე დიდი მოხარული და მადლობელი ვარ მაგ შენიშვნის ავტორისა, რადგანაც იმან ეგ რწმუნება გამოაცხადა.

მაგრამ, ჩემდა სამწუხაროთ, მაგვარს რწმუნებას არ აღვიარებენ მრავალი ჩემი თანამემამულენი. არამც თუ არ აღვიარებენ იმ შენიშვნის აზრს, არამედ ათასი საყვედურები მესმის სხვა-და-სხვა პირებისგან, რომელნიც მამტყუვნებენ ქართული ენის უცოდნელობისათვის და იმისათვის, რომ ჩემი შრომა არ მიმიქცევია განსაკუთრებით ამ მუშაობისათვის, რომელსაც ყოველ გვარათ და ყოველი გვარი ღონისაგან სამსახური ეჭირება.

აი ამ საგანზე მე მინდა მოკლე, მაგრამ გადაწყვეტილი პასუხი მივცე,— ამისათვის იმედი მაქვს უარს არა ჰყოფთ თქვენს გაზეთში ადგილი მისცეთ ამ სიტყვებს.

კაცს მინიჭებული აქვს ისეთი სულის გრძნობა, რომელთანაც ბრძოლა ყოვლად შეუძლებელია. ეს გრძნობა არის: თავის მამულის, თავის მოძმეთ სიყვარული. არის ავათმყოფობა, რომელსაც არავითარი წამალი არ მოეკარება,—ეს არის, წუხილი სამშობლოზედ. ყოველს პატიოსანს კაცს აქვს ერთი რწმუნება და ეს რწმუნება არის: მამულის სამსახური.

მე მინდოდა შემეტყო იმ ხალხის აზრი, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ საქართველო და ქართული ენა მე არ მიყვარს; არის განა ქვეყანაში ისეთი დამახინჯებული ვინმე, რომელსაც ეთქვა: „მე არ მიყვარს ჩემი სამშობლო, მე არ მესმის მამულისთვის ქმუნვა, მე არ მინდა იმის სამსახური!?“ და თუ ესეთი ხალხი შესაძლებელნი არიან, ნუ თუ მეც იმათ ვეკუთვნი?.. და თუ ეგრე იქნებოდა, ვიქნებოდი - და ღირსი ადამიანის სახელის ტარებისა?

მით უფრო საწყენია ეს ჩემთვის, რომ ეგ აზრი შეუდგენიათ ჩემზედ ისეთ პირებს, რომლების პატივისცემისაც მე შეჩვეული ვარ. იმათ არ უნდათ გაიგონ, არ უნდათ წარმოიდგინონ, რომ როგორი სურვილიც უნდა მქონოდა სამშობლო ენის შესწავლისა, როგორც უნდა მყვარებოდა ის, მე არ შემეძლო [illegible] შემესწავლა.

ლიტერატურის შესწავლის გრძნობამ დამაწყებინა მე მუშაობა იმ ენაზედ, რომელიც ვიცოდი, იმ ხალხის ენაზედ, რომელიც ჩვენთან ახლოა დგას. ჩემთვის შეუძლებელი იყო ერთსა და იმავე დროს ბრძოლა ათას გაჭირებასთან, რომელსაც შეგვამთხვევს ხოლმე ლიტერატურული შრომა, რომელშიაც მე ჯერედ ახლად დამწყე ვარ და ნამეტურად იმ ენაზედ მუშაობა, რომელიც, თუმცა ჩემი სამშობლო ენა არის, მაგრამ ჩემგან ჯერედ უცოდნელი. ამის გამო მე გადავწყვიტე: გამოვიცადო ჩემი თავი ნაცნობ ენაზედ მუშაობით და მასუკან, თუ ჩემი ღონე დაამტკიცებს, რომ უსარგებლო არ ვიქნები ლიტერატურული შრომისათვის, მოვკიდო ხელი იმას, რაც ჩემთვის უფრო დაახლოებული და ძვირ-ფასი არის— ჩემს ნაციონალურს ლიტერატურას; ამ უცხო ენაზედ მუშაობის დროს შევისწავლო ქართული ენა და მოვემზადო შემდეგისათვის. ამ აზრსა ვსდევ გადაუსვლელად. იმედი მაქვს, რომ ის პირნი, რომელნიც დაიმედებულნი არ არიან ჩემზედ, უსათუოდ ჩქარა მალდატანებულნი იქნებიან. რომ გამოიცვალონ თავიანთი ურწმუნოება.

მე არ შემიძლიან და არც მინდა დავივიწყო ჩემი დედა-ენა. მე იმას შევისწავლი. მე შევწირავ მთლად ჩემს ღონეს სამშობლო ლიტერატურაზედ შრომას, როდესაც დავრწმუნდები, რომ მზათა ვარ და შემეძლება ვემსახურო, არა უნაყოფო მუშად, არამედ სასარგებლო მშრომელად.

ა. სუმბათოვი.

### II

როგორც აცხადებთ ხოლმე ხშირაო თქვენს პატივცემულს გაზეთში, მომავალ წლის 1-ს სექტემბერს, ქა-

---

მხოლოდ ეს იხატებოდა
იმის ქუქუნა თვალებში:
„მე ჩემი დღე და სოფელი
„უნდა დავლიო ბალებში!“

—

და ეს სიტყვები ეწერა
იმის მშვენიერ სახესა:
„სხვა საქმე არ მაქვს მე, მხოლოდ
„აშიყებს უგებ მახესა.

—

„მომწონს, კალინა, მალინა
„მძულს ვარდები და იაო!
„სამშობლო რასა მიქვიან.
„მეწყერსაც წაუღიაო.“

—

აი, ჩვენი ახლანდელი დროს ქალი!. პოეტი ბარათაშვილი თუ კი ადრინდელ დედებს უგალობებს, განა მე კი არ შემიძლიან, რომ ეხლანდელი შევამკო?

და თუ უკუღმა გამოდის, ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის?.. რა ვქნა? ჩარხი უკუღმა მობრუნდა და ადრინდელი „ჰო“ და „არა“ ახლა „არა“ და „ჰოთ“ გადაიქცა. აი მაგალითებიც თუ გნებავსთ:

ამ დღეებში ქალები წაიჩხუბნენ, ურიგოთ მოიხსენიეს ერთმანეთი, ბევრი უკადრისებიცა ჰკადრეს ერთმანეთს და ბოლოს ერთმა მათგანმა წყევლას მიჰყო ხელი: „—ჰოი, თქვენს გულზედაც მენახოს ლოდი! *)“ ზატაცებულებმა სიამოვნებით გაიღიმეს და ჩაიბუტბუტეს: „ბისმინოს ღმერთმაო!“ თურმე ნუ ბძანებთ, ადრინდელი წყევლა ახლა ლოცვათ გადაქცეულა!

ადრე გადასცემდენ ხოლმე: „ღმერთმა ნუ მოგიშალოს ცეცხლი და ნავთიო!“ ეს დიდი წყევლა იყო; ახლა კი ორივე დიდი ღვთის წყალობაა: ნავთის წყარო ცხოვრების საკეთილდღეო წყაროთ გადიქცა და ცეცხლის წყალობითა და საშუალობით ხომ ლამის გამდიდრდეს ჩვენი ტფილისქალაქი...

*) ლოდი—ერთი მომღერალი დამაზი აქტიორია ტფილისში.

ადრე იცოდენ შეკურთხება: „ვაი შენ და შავი ქვაო!“ ახლა ამოდენი ხალხი პირ-იქით ატეხს თავს იმ შავქვას...

ზანა მარტო წყევლა გამოიცვალა? ყოველიფერი!—ვის გაუგონია აგვისტოში სიცივე?—ბუნება, ზნე, ჩვეულება, ხასიათი და ყოველიფერი გადაბრუნდა? შეხედეთ, ბატონო, ამ კაცებს: თავზედ რანაირი ქუდები ხურავსთ! ადრე წინ იცოდნენ ერთი კიზიროკი მზის საფარათ და ახლა ოროლი გაუკეთებიათ—წინ და უკანაც. რას უნდა მივაწეროთ ესა? ან სახე დაჰკარგვიათ, აღარ იციან: წინა აქვს, თუ უკან და ალალა ბედზედ იკეთებენ საფარს და ან სწორეთ გრძნობენ, რომ ორ-პირი არიან...

ვერა ხედავთ ამ ქალების ფეხებზედ ბაშმაკებს? სადაც ადრე ბაშმაკის წვერი იყო ხოლმე, ახლა მოუბრუნებიათ იქ და ქუსლებს იკეთებენ!.. ეს უთუოთ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ უკუღმა დადიან...

ადრე ეგ დალოცვილები წინიდამ იკეთებდნენ სხვა და სხვა ნაოჭ-მაოჭებს, ბანტი-ბუნტებს და ლენტებს; ახლა კი უკანიდამ იკეთებენ. დახეთ, ერთი გულ-მკერდსა და ზურგს გასწყრომიან, თულივით დაცემიან, გაუგლეჯიათ, გაუშიშვლებიათ და მათი მეზობლები კი დაუჩულავთ, თითქო კეხი დაუდგამთო! მაგრამ რისთვის? ვითომ-და მზათ არიან ტვირთი აიკიდონ!

რა უკუღმართობაა! უკუღმა დადიან, უკუღმა იცმენ, უკუღმა ლაპარაკობენ, უკუღმა ფიქრობენ და თუ ასე იქნა ვგონებ, მალე ჭამა-სმაც უკუღმა დაიწყონ!.. ადრე ცოცხლებს აჭმევდნენ... მკვდრებს საზრდო რაღათ უნდოდათ? ახლა კი ცოცხლებს ამშევენ და მკვდრებს კერძს აძლევენ! ვისაც არ გჯერათ, დაიარეთ საავათმყოფოები, საპატიმროები, სასწავლებლები და ნახავთ, რომ ცოცხლები შიმშილით ჰკვდებიან და მკვდრების ხარჯი-კი დავთრებში გამოჰყავთ!—

ლაქში უნდა მოჰხდეს არხეოლოგიური კრება ნასწავლთ კაცებისა. ამ დროისათვის არხეოლოლიის მცოდნენი ამზადებენ მასალას, აგრეთვე ვინც კი რამე იცის, ან აქვს სადმე შენიშნული, ყველა აცხადებს თქვენის გაზეთის საშუალებით. ამ მაგალითებით გამხნევებულს მეც მსურს თქვენის გაზეთით მივათითო იმერეთში ერთს შენობაზე, რომლის გაშინჯვაც იქნება საჭიროდ და საინტერესოდ იცნონ არხეოლოლიისათვის.

საქმე ის არის, რომ რიონის სადგურის მახლობლად, მდინარის მარჯვნივ, არის დიდი ძველებური შენობა. ეს შენობა უნახავს დიუბუას—ფრანცუზს. ის ამბობს, რომ ხალხის გადმონაცემით შევიტყეო, ვითომც ის იყოს სასახლე თამარ მეფისაო. ამ შენობაზე ვახუშტი თავის ღეოღრაფიის 370 კაბადონზე სწერს: „რიონის დასავლით არის გეგუთი, სადგური ზამთარს მეფეთა. აქა არს მსგავსი შენებული მეჩეტისა, მრავალ პალატოვანი, დიდნი და მცირენი, თლილის ქვისა. უწოდებენ ციხე დარბაზს. იტყვიან აღშენებასა თურქთაგან, 57 გიორგის ჟამს". იქნება ერთ დროს აქ თურქები მართლაც ჩასახლებულნი ყოფილიყვნენ, და ამ დროს მათ სასახლეში კარის მეჩეთიც აეშენებინოთ, მაგრამ თვით შენობა—სასახლე, რომ ქართველთ მეფეებს ეკუთვნის, ამას ვახუშტიც ამტკიცებს და დიუბუაც. ამათ თქმულებას მე მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ გეგუთი იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში" მე X საუკუნიდგან დაწყებული. აქ სცხოვრებდა დიდი ლიპარიტ ორბელიანი, მეჭიშპე მეფე ბაგრატ მე IV-სა. როცა ამ მეფემ ეს ლიპარიტი დაიჭირა, აქ გადაასახლა თრიალეთიდგან და გარემო გეგუთისა მისცა მამულად და საცხოვრებლად. ამის შემდეგაც, როცა ლიპარიტიანთ ღალატობა შეემჩნეოდათ ხოლმე, აქ გზავნიდნენ მეფენი. ერთის სიტყვით ლიპარიტიანების ისტორია გადაბმულია გეგუთზე. აქ სცხოვრებდა აგრეთვე თამარ მეფის მამა გიორგი III და დანიშნული იყო მეფეთა სანადირო ადგილად.

ამ მეფის დროს ქართველმა ხალხმა, თავადობამ და გლეხობამ, აქ გადასწყვიტეს გალაშქრება სპარსეთზე და მცირე აზიაზე. აქ დააწყვეს რაზმები და მიუჩინეს იმერეთსა და სამცხე-კლარჯეთის ჯარებს მცირე აზია, ქართლისა და კახეთის ჯარებს სპარსეთი. მაგრამ იმავე „ქართლის ცხოვრებაში", თუ სხვაგან ამოვიკითხე, აღარ მახსოვს—რომ საქართველოს სამ-სამეფოდ განყოფის შემდეგ გეგუთი ეკუთვნოდათ თავადთ იაშვილებსო. ეს სასახლეც იმათიაო, ეწერა იქ. ყველა ეს ცნობები გეგუთის ისტორიულ მნიშვნელობად უეჭველად ხდიან.

თუ ასრეა, მაშ უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ ისტორიისათვის აქაურს არხეოლოლიურს ნაშთებს. აქ ამ სასახლის გვერდზე არის ეკკლესია, უთუოთ მეფეთა სალოცავად ნამყოფი. ის აშენებულია თეთრის თლილის ქვით. თვითონ ეკკლესია პატარაა, მაგრამ ძალიან წმინდა ხელობით არის ნაშენები; ქვები ისრე წმინდათ არიან დათლილნი, რომ ზედ, ეკკლესიის გარეთ, საკურთხევლის კედელზე, გარედგან, ძირს, საცა ნანგრევი ქვები ჰყრია, არის მრავალი ნახატი, ჯარის კაცები თოფებითა და შუბებით. ამათ ყველას აწერიათ ეკკლესიურის ასოებით. ვინ არიან ესენი, ან რა შინაარსი აქვთ ამათზე მყოფ წარწერაებს,—მე ეს არ ვიცი. 1875 წელს აქ ვიყავი და ეს ყველაფერი ჩემის თვალით ვნახე, მაგრამ ვერ შევიძელი ამოკითხვა. მას აქეთ ველარ მოვახერხე იქ მისვლა.

ახლა ესენი მომაგონდა და ვალდებულად შევრაცხე თავი ჩემი ამის შეტყობინება თქვენის გაზეთის საშუალებით არხეოლოლიური კამისიისათვის, იქნება მან იცნოს საჭიროდ და ვინმე გაგზავნოს ამ ნახატებისა და ნაწერების შინაარისა და მიზნის შეტყობისათვის იმათ გადმოსაღებად. მე დარწმუნებული ვარ, რომ შრომა უნაყოფოთ არ დარჩება. აქ ისრეთი ნაშთებია რომ ბევრი რამ უნდა იყოს საინტერესო, როგორც სასახლეში, აგრეთვე მის სალაროში, მიწას ქვეშ მოტანებული.

მით უფრო უმეტეს ეს მჯერა, რომ ამის მახლობლად, როცა თურმე რკინის გზას სჭრიდნენ, მუშებმა იპოვეს განძი, აგრეთვე ხმალი, ხანჯალი ზედ წარწერებით ქართულს ენაზე, და კიდევ სხვა და სხვა ვერცხლის ნივთეულობა. ესენი მაშინვე პოლიციას წაურთმევია და რა უყო მან, არ ვიცი. არ იქნება ურიგო, რომ ეს ნივთებიც მოძებნონ. გლეხებმა თურმე იციან, ვინ წაიღო ისინი.

*P. S.* აქვე საჭიროდ ვრაცხ ვსთქვა ისიც, რომ ქუთაისის ჩინებულს სობოროზე, დასავლეთის კედელზე, სულ კედლის წვერში არის ნახატი. ამის გარჩევა უდურბინდოთ თვალით კარგათ ვერ მოვახერხე, მაგრამ ეტყობა, რომ მეფეთა გმირგვინია დახატული. ეს სობორო და ამის ზედ წარწერაები თუმცა ბროსსეტსა და დიუბუას აუწერიათ, მაგრამ ამ ნახატზე არა არის-რა მოხსენებული. ამ ნახატს ორ მხრით ლომები და ანგელოზები უდგენან და ვგონებ ხელში კვართი უჭირავთ. თუ მართლაც ეს მეფეთა გვირგვინია, მაშ ეჭვი არ არის, რომ მისი გადმოღება არ იქნება უინტერესო არხეოლოლიისათვის, ამისათვის რომ ის იქნება დახატული მაშინ, როცა ტაძარი აშენდა, ესე იგი მეXI საუკუნეში.

მღ. დ. ჯანაშვილი.

1880 წ.
30 აგვისტო.
სერგი-პასადი.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები:** საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ფრეისინეს გაზეთში *Temps*-ში ვჰკითხულობთ: „ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ალბანიის ნაპირებთან დემონსტრაციის შესახები მოლაპარაკება სასურველს ბოლომდია მიღწეული. ზღვის მინისტრმა უკვე გადასცა ინსტრუქცია დემონსტრაციაში მონაწილე საფრანგეთის გემთა უფროსს, რომელიც ამ რამდენიმე დღის განმავლობაში შეუერთდება დანარჩენ სახელმწიფოთა (სულ ექვსს) გემებს. ახლა ცხადია, რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის უთანხმოების ჩამოვარდნის მომლოდინე ოსმალეთი მმართებლობა მოტყუებული დარჩა. სრული იმედია რომ იგი ამიერ მაინც არ გასწევს ევროპის სურვილის წინააღმდეგობას.

—

აგვისტოს განმავლობაში შესრული იკანკლედური ხარკი და გადასახადი საფრანგეთის ხაზინაში $10\frac{1}{4}$ მილლიონი ფრანკით გადაეჭარბა მოლოდინს. ეს გადაჭარბება, ერთის მხრით ამტკიცებს, რომ ხარჯად აღებულ საქონელთ ხმარებამ იმატა, ე. ი. ხალხის კეთილ-დღეობა გაუმჯობესებულა, და მეორე მხრით გადასახადისაგან შემოსული ფული ჰმოწმობს, რომ აღებ-მიცემობა თან და თან ვრცელდება.

—

მილანში ეხლა ხანს შეკრებილან „მიცვალებულთ დაწვის" მომხრენი. მილანის დიდს სასაფლაოზე საგანგებო შენობაა გაკეთებული მიცვალებულთ დაწვისათვის, რომელსაც თან-და-თან ემატებათ მუშტარი. დამწვართ ფერფლს ერთგვარს ზედ წარწერილ ლარნაკებში ინახვენ. გვამის დაწვა სულ 6 ფრანკი ღირს.

—

ადრე რომ მოსავალი არ იქნებოდა, შიმშილობას ეტყოდნენ; ეხლა კი თურმე კარგ—მოსავალსა ჰქვიან შიმშილობა! არა გჯერათ? აი, ბატონო, ერთს მაზრაში კარგი მოსავალი იყო; მაგრამ უფროსმა შიმშილობა არისო! გამოითხოვა ფულები მთავრობისაგან. იყიდა ცოტა-ოდენი პური თუ სიმინდი და მამა-სისხლათ დაურიგა გამძღარ ხალხს; გინდა, თუ არა, წაიღეთო! „—ბატონო, არ გვინდა, ჩვენსასაც ნახევარ ფასათ ვყიდით, წელს კარგი მოსავალი იყოო!" მაგრამ ვინ დაუჯერათ? „ახლა სხვა დრო არის. ჩარხი მობრუნდაო!"

ადრე რა საქმის გასამრიგლოს მოსამართლე ფულს აიღებდენ, ქრთამს ეძახოდნენ და სჯიდენ. დღეს კი კომერციას ეძახიან და აქებენ კიდეც!.. გიკვირსთ? აი, ბატონო: ერთ მაზრის მსაჯულთან მივიდა ერთი გაიძვერა და სთხოვა ამა-და-ამ უკანონო საქმეში მომეხმარე და ასი თუმანი შენი იყოსო. იუცხოვა მოხელემ! მაშინ მეორეთ მიუბრუნდა გაიძვერა და ჰკითხა: „სახლს ხომ არ გაჰყიდითო?" —რატომ არაო? უპასუხა მაზრის უფროსმა და მორიგდნენ რვაას თუმნათ, იმ პირობით რომ, თუ გაიძვერა დროზედ ვერ ჩააბარებდა, უნდა შტრაფი (ვითომ ძალო!?) რვაასი მაეეთი მიეცა და მისცა კიდევაც.

აი, ბატონო, გადაბრუნებული რომ ყოფილიყო, ქრთამი იქნებოდა და რომ გადმოაბრუნეს, კომერცია გახდა!..

ადრე რომ სამუშაოთ წაიყვანდენ კაცს, ასმევ-აჭმევდნენ, ახლა განგებ ამშევენ! კალიობის დროს მუშები გადმოიყვანეს იმერეთიდამ და არა აჭამეს-რა... უკეთ იმუშავებენო! უნდოდათ სეირი ენახათ, თუ როგორ შეებმოდნენ მაძღარ კალიას მშიერი იმერლები... ზოგს ისიც ჰგონებოდათ, რომ კალიას დაუწყებენ ჭამას და ხარჯი რაღათ ენახოთო! მაგრამ ვერ მოხდა კარგათ!.. კალიაზედ უფრო მარჯვედ იმერლები შეხტნენ... მიიბრუნეს პირი, გადაადგეს სურამის ქედს, უკანიდამაც ზენა-ქარმა დაუბერათ ამ დამჩატებულ ხალხსა და სულ კალიასავით ხლტომით გადიარეს კორტოხი!..

ამ დროს შორიდამ შემოხედა დურბინდით ერთმა პოპოშნიკმა და იფიქრა (ძალიან ჭკვიანი მოხელეა!): „ვაი დავიღუპეთ, ეს სწორეთ დიდები დაზდილან, დასუქებულან და ახლა აქეთ მოხტიან იმერეთის ამოსაგდებათო!" და სდრინწა ლაპორტი სადაც ჯერ იყო. შეიქნა აყალ-მაყალი... მოეგებენ და ერთი კალია კი ნახეს დაცუცქული ვაგონის ხარიხაზედ, სხვა ვერა!...

აი ესეები სულ მისი ბრალია, რომ ჩარხი უკუღმა ტრიალებს. რამდენ სხვა მაგალითებსაც მოგახსენებდით, მაგრამ ახლა სხვებმაც სთქვან და მე კი ჩემთვის ვიმღერებ:

„გამოიცვალა ქვეყანა,
ჩარხი უკუღმა ტრიალებს:
ვირი კოკობ ვარდს დაჰგალობს,
ბულბული ვირებრ ჰღრიალებს!

—

ზამთარში სიცხე გვაწუხებს,
ზაფხულში დგება ზამთარი.
სომეხმა ხრმალი აიღო,
ქართველმა სომხის დავთარი!

—

ქურდები სჭრიან სამართალს,
მართლებს უყრიან ბორკილსა
და ქვეყნის მტერი იუდა
დასცინის მამულის შვილსა.

—

ბრიყვი და უსწავლელები
თავში უდგიან ჭკვიანებს...
გაჰქრეს ეს ჟამი ბარემლა,
ნეტავი რას იგვიანებს!!.

ა. წერეთელი.

ამ ცოტას ხანში საფრანგეთმა შეიერთა მდორე ოკეანეში მდებარე ტაიტის კუნძულები, რომელნიც დიდი ხანი საფრანგეთის მფარველობის ქვეშ იყვნენ. *Temps*-ი ამბობს კარგი იქნება რომ ტაიტელებს ეხლავე მივანიჭებდეთ საფრანგეთის მოქალაქეების ყველა უფლებათაო.



# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

—



მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲜᲐᲝᲤᲚᲐᲠᲘᲡᲐ, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,



## ᲒᲐᲚᲛᲐᲜᲘᲜᲘ

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაკში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგაჩეჩონ.

გ. კარპინსკი.

(25—23)



## ᲮᲛᲐ ᲓᲔᲕᲜᲣᲚᲗᲐ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲘᲓᲒᲐᲜ

ძენო და ასულნო Iვერისანო!

შეჩვეულია არა-ერთ გზის გსმენიათ თქვენ ძველთაგან მოთხრობით დიდებული სახელი Iვერთა მონასტრისა, აღშენებულისა კეთილ-მსახურთა თქვენთა წინაპართაგან, მთასა ზედა წმინდასა ათონისასა, ქრისტიანობის პირველთა საუკუნეთა შინა.

დაფუძნების-თანავე მისისა სავანე ესე აღირჩია თვით კერძოთ ყოვლად წმიდამან დედამან ღმრთისამან და გამოაჩინა მას შინა სასწაულ-მოქმედი ხატი თვისი, განთქმული დიდებითა ყოველსა კიდესა ქვეყნისა სახელ-წოდებით „დედა-ღმრთისა Iვერიისა".

ამა მონასტერსა-შინა მიისწრაფოდა საცხოვნებელად სულისა თვისისა ყოველ კეთილ მოწიწე შვილი საქართველოისა: თითოეული კახელი, ქართლელი, იმერელი, მეგრელი და გურული დაისხამდნენ მუნ ღვაწლითა თვისითა წინაშე ღმრთისა სიწმინდესა და უხრწნელებას. ვის არ გსმენიათ თქვენ სახელნი ათონისა მთისა ნეტართა მამათა: წმინდა Iოანე აღმაშენებელისა, დიდისა ექთვიმის, გიორგი მთა-წმინდელისა და სხვათა შთამომავლობითა ქართველთა. ხოლო რომელსაც არძალ-ედვა და ღირს არა ხდებოდა შესვლად ამა სანატრელსა სავანესა-შინ, ისინი შესწირვიდენ მას ოქროსა და ვერცხლსა, მიწასა და წყალსა სადიდებელად ამისა და საოხად სულისა თვისა.

ამა სახითა მონასტერი ესე იყო ფრიად მდიდარი და აღიზრდებოდნენ მუნ ძენი ქართულთა კეთილის ზნითა და მეცნიერებითა. ხოლო ოდესცა მაჰმადიანთ ძალმან და შინაურმა უთვისობამან დასცა ქართველთა ერნი და სამეფონი, მაშინ თან-და-თან შემცირდა და შესწყდა დინვა ქართველთა ამა მონასტერსა შინა და დაემკვიდრენ მუნ ბერძენნი, რომელთა ჟამთა განმავლობასა შინა სრულიად მიითვისეს იგი ყოვლისა მის დიდებითა და სიმდიდრითა; განდევნილ-ჰყვეს მისგან ქართველნი, მიგვიღეს ჩვენ და უპატიოდ სტოვეს გვამნი წმინდათა მამათა ჩვენთა, მუნ განსვენებულთა,

ამის-თვის ჩვენ ობლად ქმნილთა და გალატაკებულთა მონაზონთა და მორჩილთა, კურთხევითა, შეკრებილთა ყოვლის კიდისა საქართველოისათა: კახეთით, ქართლით, Iმერეთით, სამეგრელოთი გურიათი, კურთხევითა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზთა Iმერეთისა, სამეგრელოისა და გურიისა და შემწეობითა კეთილ-მორწმუნე ქრისტიანეთა აღვაგეთ მახლობლად დიდისა Iვერიის მონასტრისა მცირე სავანე წმინდისა, მოციქულისა Iოანე ღვთის-მეტყველისა და ვიწყეთ მასთანავე ზრუნვა რათა დაბრუნებულ გვექმნეს ჩვენ და მომავალთა ჩვენთა წმინდა საუნჯე ჩვენი დიდებული მონასტერი Iვერიისა.

ამა ჩვენსა ზრუნვასა და თხოვნასხელყო ჩვეულებრივის მისის სურგძელებითა და მოწყალებითა ხელმწიფემა მთავარმან „ნამესტნიკმა კავკასიისამ მიხაილ ნიკოლოზის-ძემან. ბრძანებითა მისის უმაღლესობისათა უკვეაღძრულ არს წარმოება საქმისა სამეფოთა ქალაქთა შინა პეტერბურგსა და სტამბოლსა და ჩვენ იმედენეული ვიქმენით, რომელ მეცადინოება ჩვენი არ დარჩეს უნაყოფოდ. გარნა საქმისა ამისთვის საჭირო არის დიდი ჩვენგან დევნა და ხარჯი, ხოლო ჩვენ მოკლებულ ვართ ყოველსავე საშვალებასა და წინაალმდეგნი ჩვენი კი არიან შეჭურვილნი სიმდიდრითა, ჩვენთავე მამაპაპათაგან.

ამისათვის და რადგან მცირე სავანე Iოანნე ღვთის-მეტყველისა არა არს ჯერედაც შესრულებული და მისთვის საჭირო არის არა-მცირედი საფასე, ჩვენ მოვივლტვით წინაშე თქვენსა, კეთილ-მსახურნო ძენო და ასულნო საქართველოისანო, და მოვითხოვთ შემწეობასა ფულითა, ანუ ნივთითა, ვისაცა როგორ მოეხერხების, საოხად სულისა თვისისა, მოსახსენებელად მიცვალებულთა და სანუგეშოდ შვილთა და მომავალთა მისთა. განსაკუთრებით ვღაღადებთ თქვენდა, გვამნო ქრისტესა მეუფისა სამსახურად შემოსილნო, ყოვლად - სამღვდელონო მწყემსთ-მთავარნო, მაღალ ღირსნო არხიმანდრიტნო, პატიოსანო მღვდელო და ქრისტეს მიერ დიაკონნო, აღახვენით ბაგენი თქვენნი მოწოდებად სამწყსოთა თქვენთა შემწედ ღვთისა სათნოსა ამის საქმისა.

ხოლო ვისაც ენებოს წარმოგზავნა ჩვენდა შესაწირისა, კეთილ ინებონ მიიქცენ ისინი შემდგომთა პირთადმი: ქუთაისს—ყოვლად-სამღვდელო გაბრიელს ეპისკოპოზს Iმერეთისა და მომრიგებელს მსაჯულს დავით ნიკოლოზის ძეს ბაქრაძეს; ტფილისში—ყოვლად - სამღვდელო ეპისკოპოზს ალექსანდრეს, აფხაზეთის უფროს ბლაღოჩინს დეკანოზს დავით მაჭავარიანს.

მიღებისათანავე შესაწირისა სავანე ჩვენი გამოუგზავნის შემწირველთა კანონიერსა კვიტანციასა, და თვითოეული სახელი შემწირავთა შთაწერილ იქმნების მონასტრის კონდაკსა შინა საუკუნოდ მოსახსენებლად. მსურველთა შეუძლიანთ გაგზავნონ შესაწირი პირ-და-პირ ათონს შემდეგის ადრესით: **На Аѳонъ, въ русскій св. Пантелеймона монастырь настоятелю Архимандриту Макарію, для передачи въ Ново-Иверской св. Іоанна Богослова обители, старцу Венедикту или Іеромонаху Іонѣ.**

საუკუნო მოსახსენებელი დღეში სამ გზის—სამოცი მანეთი.

საუკუნო მოსახსენებელი კვირაში ერთ გზის—ოც-და-ათი მან.

საუკუნოდ მოსახსენებელი თვეში ერთ გზის—ათი მან.

წლის განმავლობაში დღიურად პანაშვიდით მოსახსენებელი—15 მან.

წლის განმავლობაში დღიურად უპანაშვიდოთ მოსახსენებელი—7 მან.

ორმოცი წირვისათვის—სამი მან.

ორმოცი დღის მოხსენებისათვის—ერთი მანეთი. (3—3)



ქ. გორში გაიღო

## ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება კოპინაშვილის სახლში ოქონის ეკკლესიის მახლობლათ, სადაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამ მაღაზიას ამ ადრესით:

В Гори, въ книжный магазинъ Маріи Кереселидзе.

(12—7)





შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ ეს წამალი ახლა 2 მანეთად ღირს.

(100—34)





ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ



ლექსები იოსებ დავიდოვისა.

გამოცემული ი. დავიდოვისა და ვარდენ გოცირიძისაგან.

ᲤᲐᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ შემდეგ ალაგებში: Tფილისში—ძრ. ჩარკვიანის და სხვების წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში—ზერარდის წიგნის მაღაზიაში. გორში—ტატო დოთიაშვილის საბაყლო დუქანში. Tელავში—კირილე ჯაჭვაძესთან (აფთიაქში). ონში (რაჭაში) თ. ერმილე მიქელაძესთან და საგარეჯოს—სასოფლო დეპოში.





რამდენიმე ინჟინერთ საზოგადოება იღებს თავის თავზე: 1) ყოველ გვარ შენობისა და ასაგების პროექტის და ანგარიშის შედგენას ტფილისში და მის არე-მარეში; 2) მუშაობაზე თვალ-ყურის დაჭერას და 3) რჩევას იძლევა ტეხნიკურ საქმეებში. კომენდანტის ქუჩა, სახლი № 35, მარჯვნით. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე საღამოს 5 საათიდამ 8-მდე

(3—3)



Дозволено цензурою. Тифлисъ 6 Сентября 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი